

არც ერთი დღე ფიზკულტურის გარეშე!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 7 (7068) 10 1982წ. იანვარი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ბევრი რამ კეთდება თბილისის „დინამოს" სპორტკომბინატში სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სექტემბრის დადგენილების „ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ" შესრულებისთვის. აქაურ ბაზებზე თითქმის ყოველდღე, ყოველ დროს შეხვდებით სპორტსმენებს, ფიზკულტურელებს, რომლებიც სრულყოფენ ტექნიკას, ეუფლებიან ამა თუ იმ სახეობის საიდუმლოებას, იკაჟებენ ჯანმრთელობას.

ეს ფოტოსურათები ჩვენმა კორესპონდენტმა გ. დოლენჯაშვილმა „დინამოს" სტადიონის მოედნებზე, აუზსა და დარბაზებში სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში გადაიღო. გასულ პარასკევს აქ ვარჯიშობდნენ ძალოსნები, ფრენბურთელები, ფეხბურთელები, ტანმოვარჯიშეები...

გულმოდგინედ უსმენენ ცურვის სპორტსკოლის აღსაზრდელები მწვრთნელ ს. მაჩიტაძეს (მარცხენა სურათზე შუაში), ამ სკოლაში კი ხუთასზე მეტი მოზარდია გაერთიანებული; ძალოსნების უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი უ. ქირაქაძე თავის გამოცდილებას უზიარებს ფიზკულტურელებს; მარჯვენა ფოტოზე თქვენ ხედავთ ცნობილ თანამედროვე ხუთჭიდელებს, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებს თ. გრიგორსა (მარცხნივ) და ი. ბრიზგალოვს, რომლებიც ზამთრის საკავშირო შეჯიბრებისთვის ემზადებიან. ამ დღეს სარბენ ბილიკებს კიდევ ათობით სხვა სახეობის წარმომადგენელი ესტუმრა; სტადიონის სათადარიგო მინდორი ნორჩ დინამოელთა მწვრთნელების რ. გაგუასა და ა. ვაშაკიძის პატარა აღსაზრდელებს „დაეპყროთ"...

შემდგომი მასობრიობისთვის

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტულ-ტანვარჯიშულმა კავშირმა (დტსბ) დაამტკიცა საქმიანობის 1982 წლის გეგმა, რომლის მიხედვით ამ კავშირში წლის მანძილზე მიიზიდავენ 90 ათასამდე ახალ წევრს, შექმნიან 150 ახალ სპორტულ ორგანიზაციას, 1300 სექციას, ვარჯიშებში ჩააბამენ 1,9 მილიონ მოზრდილსა და 300-ათასამდე 16-18 წლის ჭაბუკსა და გოგონას, რომლებიც შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ დადგენილი ნორმატივების ჩაბარებაში. როგორც დტსბ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ვერნერ ბერგმა განაცხადა, მთავარი ყურადღება გადატანილი იქნება რესპუბლიკაში მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს 1983 წლის რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მზადებას. ამ შეჯიბრების ფინალი, რომელიც ლეიპციგში ჩატარდება, ნამდვილ სახალხო დღესასწაულად გადაიქცევა.

დტსბ-მ ამასთან შეაჯამა თავისი გასული წლის საქმიანობის შედეგები და დაასკვნა, რომ შარშან ორგანიზაციის რიგები 70 ათასი კაცით გაიზარდა, ახლა კი მან 3217000-ს მიაღწია. მუშაობაში ჩაერთო 8630 ახალი ფიზკულტურის ინსტრუქტორი და 5166 მსაჯი. მარტო წლის მეორე ნახევარში რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენებმა 30 დიდ შეჯიბრებაში იასპარეზეს. მათ 8 მსოფლიო ჩემპიონატსა და ევროპის 4 პირველობაში გაიმარჯვეს, საერთო ჯამში 15 უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს. ამას გარდა ახალგაზრდულ, ჭაბუკთა და იუნიორთა ევროპულ და მსოფლიო პირველობებში 38 „ოქრო" დაისაკუთრეს.

● წყალბურთი

ზედიზედ ორი მოგება

გაიმართა სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. **ბაქოს ქვეჯგუფში** დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერების — ალმა-ათის დინამოელებისა და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრა. ერთნიც და მეორენიც 2-2 გამარჯვებით სატურნირო ცხრილის სათავეში იყვნენ. მატჩი დამთავრდა ფრედ—5:5.

პირველი გამარჯვება იზეიმეს თბილისის დინამოელებმა — მათ „მოსკვიჩს" სძლიეს — 7:5. მასპინძელთა — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის წყალბურთელთა და ლვოვის „დინამოს" გუნდების შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით — 8:7.

მინსკის ქვეჯგუფში შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა; სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბი— „მეხნატი" (ტაშკენტი) — 11:5, „დინამო" (კიევი) —შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტი — 9:8, „დინამო" (მოსკოვი) — ასკ (მინსკი) — 9:5.

გუშინ ბაქოში გაიმართა წყალბურთში წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის ბოლოსწინა შეხვედრები.

თბილისის დინამოელები თავიანთ ლვოველ თანაკლუბელებთან თამაშობდნენ. საქართველოს წყალბურთელებმა მატჩი კვლავ ალმაცლობით ჩაატარეს და მეორე გამარჯვება მოიპოვეს — 5:4. ახლა მათ 4 ქულა აქვთ.

სხვა შეხვედრები ამ დღეს ასე დამთავრდა: „დინამო" (ალმა-ათა) — „მოსკვიჩი" — 7:4, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტის (ბაქო) გუნდი — მოსკოვის უნივერსიტეტი — 6:7.

ჩემპიონი და პრიზიორები

ტულაში გაიმართა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ძიუდოში. 78 კგ წონის კატეგორიაში გაიმარჯვა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ა. თენაძემ, II ადგილი დაიკავა გ. ტაბლიაშვილმა (71 კგ), III — ო. გარაქლოვმა (71), ა. ხუმარაშვილმა (78, სამივე — ფიზკულტურის ინსტიტუტი) და მ. მაისურაძემ (მძიმე წონა, სპი).

ნ. სიჭინავა,

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" 7 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც საერთო სატკივარს — ჩვენს დედაქალაქში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების პრობლემას ეხება. კერძოდ, ლაპარაკია დავითაშვილის ქ. № 1-ში ადრე არსებული სპორტული მოედნის გაუქმებაზე, რომლის შესახებ „ლელო" გასულ წელს წერდა.

ვინ დაგვეხმარება,

რომ მიკრორაიონში ერთი სპორტული მოედანი მაინც მოვაწყოთ?

ჩვენი ძველი ოცნება, დავუბრუნოთ ჩვენს ქუჩას სპორტული მოედანი, განუხორციელებელი რჩება. ვერც თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომმა, ვერც ქალაქის სპორტკომიტეტმა, ვერც გაზეთ „ლელოს" რედაქციამ ვერ შეძლო დაგვხმარებოდა.

ჩვიდმეტი წლის წინათ ჩვენს ქუჩაზე — დავითაშვილის ქ. № 1 — ცარიელ ტერიტორიაზე მოვაწყვეთ სპორტული მოედანი (30X18 მ). ორი წლის განმავლობაში მოზრდილები და ბავშვები აქ იკაჟებდნენ ჯანმრთელობას, ატარებდნენ სხვადასხვა შეჯიბრებებს. მაგრამ ერთხელ მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც აღმასკომისა და საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის რწმუნებულებად წარმოგვიდგინეს თავი და სულ რამდენიმე დღეში გააუქმეს მოედანი, ხოლო დაცარიელებულ ტერიტორიაზე საშენ მასალათა საწყობი მოაწყვეს. „რწმუნებულებმა" მაშინ დაგვარწმუნეს, რომ საწყობი აქ დროებით მოეწყო.

ხუთი წლის შემდეგ ამ ადგილზე ნაგვისამკრები მანქანების სადღეღამისო სადგომი გაჩნდა. ამჯერადაც გვითხრეს: „სადგომი დროებითიაო". მაგრამ მას შემდეგ აქ გაჩნდა... გზის სარემონტო სამუშაოთა კანტორა. ახლა ჩვენთვის უკვე ცნობილი გახდა, რომ კალინინის რაისაბჭოს აღმასკომს (თავმჯდომარე ს. ხატიაშვილი) განზრახული აქვს კანტორა გადაიტანოს სხვა ადგილზე, განთავისუფლებულ ტერიტორიაზე კი განალაგოს... საპანმრო ნაწილი (?!).

ჩვენ, უკვე მერამდენედ (!) წერილობით მივმართეთ აღმასკომს, ვთხოვდით ნება დაერთო აღგვედგინა სპორტული მოედანი. მაგრამ ოფიციალური პასუხი, რომელიც მივიღეთ, ასეთი იყო: „თქვენი მოთხოვნა უსაფუძვლოა და ამიტომ არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას"... ჩვენ ვთხოვეთ „გაეშიფრათ" ეს პასუხი. აღმოჩნდა, რომ აღმასკომს არ გააჩნია ფულადი თანხა სპორტული მოედნის მოსაწყობად, ამავე დროს მწვავედ დგას საკითხი თავისუფალი ტერიტორიისა, სადაც შეიძლებოდა ყველა ამ გარაჟებისა და კანტორების განლაგება.

გამოდის, ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობას არ აღელვებს ის სამწუხარო ფაქტი, რომ ჩვენ და ჩვენს ბავშვებს ფიზკულტურასა და სპორტში სავარჯიშო ადგილი არ გვაქვს. ვინ დაგვეხმარება, რომ მიკრორაიონში ერთი სპორტული მოედანი მაინც მოვაწყოთ?

ნ. ჯაფარიძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, პროფესორი;
ხ. სუხიშვილი,
ომის ვეტერანი, იურისტი;
გ. არეშიძე,
გეოლოგი;
ლ. დავიდოვა,
სტუდენტი
და დავითაშვილის ქუჩის სხვა მცხოვრებნი.

თბილისი.

სპორტული ტრიბუნა

ქალთა ხელბურთი პრობლემების წინაშე

...ეს იყო ამ ორიოდე წლის წინ, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე. კიევის ჩოგბურთის სასახლეში შეკრებილი ასობით ხელბურთის გულშემატკივარი ტაშს უკრავდა მოედანზე სიხარულისაგან აღფრთოვანებულ 14 თვალცრემლიან გოგონას, სიხარული დიდი იყო: რამოდენიმე წუთის წინ მათ უშეღავათო ბრძოლაში დაამარცხეს რა მოსკოვის აღიარებული კოლექტივი, პირველად ქართული ხელბურთის მეოთხედსაუკუნოვან ისტორიაში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოიპოვეს საპატიო VI ადგილი და პირველად შეასრულეს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივი. ეს გახლდათ დამსახურებული გამარჯვება, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ორმოცდაათიანი წლების მიწურულში პირველი ენთუზიასტების მიერ, მაშინ, როცა ქ. კანდელაკის, ა. ბატმანოვის, ე. არაქელოვის, ო. სოლოკინის აღსაზრდელები მოკრძალებით ეუფლებოდნენ ხელბურთის ანბანს. შემდეგ ისინი თითო-ოროლა, ყველასათვის გასაკვირ და მოულოდნელ გამარჯვებებს აღწევდნენ საკავშირო სარბიელზე.

1979 წლის 19 აგვისტოს გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე ავღნიშნავდით რა საქართველოს ხელბურთელ ქალთა გუნდის წარმატებას ხალხთა VII სპარტაკიადაზე, ვწერდით: „იმედია, საქართველოს ხელბურთელი ქალები მომავალშიც არ დაიშურებენ ძალასა და ღონეს, რათა განიმტკიცონ მონაპოვარი და ახალი წარმატებები უპატაკონ სპორტულ საზოგადოებას“...

მაგრამ გავიდა სულ ორიოდე წელი და ეს მონაპოვარი კი არ განმტკიცდა, არამედ პირიქით — იმავე 1979 წლის შემოდგომაზე უკვე ოსტატთა ქალთა გუნდმა ვერ გადალახა საკავშირო შესარჩევი შეჯიბრების ზღუდე ქ. ნევინომინსკში, დაკარგა ადგილი პირველ ლიგაში და მხოლოდ ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ხელმეორედ ჩაება ჩემპიონატში, ისიც საკავშირო სპორტკომიტეტის ახალი დებულების წყალობით.

გუნდის სპორტულ ფორმას დიდი დაღი დაასვა ამ ერთწლიანმა შესვენებამ. შეჯიბრებებს მოკლებულმა ანსამბლმა იწყო დაშლა — კოლექტივი სხვადასხვა მიზეზების გამო დასტოვა რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ, მათ, ვის გარშემო უნდა შეკრებილიყო მომავალი თაობა. ასე რომ, დღევანდელი „ბურევესტნიკი“ ბევრად ჩამოუვარდება იმ გუნდს, რომელზედაც იმედს ამყარებდა სპორტული საზოგადოებრიობა.

გუნდი შეივსო იმ ხელბურთელებით, რომლებმაც მოსწავლეთა გასული წლის საკავშირო სპარტაკიადაზე მხოლოდ მე-7 ადგილი დაიკავეს და ასე თუ ისე მცირეოდენი გამოცდილება შეიძინეს. სწორედ მათ ეყრდნობა ჩვენი იმედი ჯერ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე და შემდგომ ხალხთა VIII სპარტაკიადაზე.

ვ. არაქელოვი (საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი):

— თავიდანვე ასე იყო: ჩვენი ქალთა ხელბურთი ყოველთვის განიცდიდა რეზერვის ნაკლებობას: გულმოდგინედ არ ვზრუნავთ მომავალი თაობის, საიმედო ცვლის აღზრდისათვის, და ამის მთავარი მიზეზი გახლავთ მოსამზადებელი ჯგუფების მწვრთნელების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი 3-4 წლის განმავლობაში რეგულარულად ესწრება საწვრთნელ ვარჯიშებს, მონაწილეობს სხვადასხვა მცირე მასშტაბის შეჯიბრებებში, ჩვენ, ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები ვღებულობთ მხოლოდ ნედლ მასალას, აქ, ნაკრებ კოლექტივში ვასწავლით მათ გამართულ ტყორცნასაც კი, რომ არაფერი ვთქვა ბავშვის ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებაზე.

ცნობისათვის: ქ. თბილისში არსებობს ხელბურთელ გოგონათა ჯგუფები განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვისა და უმაღლესი დაოსტატების № 1 სკოლებში, „ბურევესტნიკის“ ხელბურთისა და რაიონების სპორტსკოლებში. გარდა ამისა, რესპუბლიკის მთავარ სამრეწველო ცენტრებში — ბათუმსა და ქუთაისში, ცხინვალში, სოხუმსა და ფოთში შექმნილია ქალთა გუნდები, რომლებსაც გამოცდილი მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. გუნდები სისტემატურად მონაწილეობენ საქართველოს სსრ ჩემპიონატებსა თუ თასის გათამაშებაში.

ი. არუთუნიანი (უმაღლესი დაოსტატების № 1 რესპუბლიკური სკოლის უფროსი მეთოდისტი):

— ჩვენს სკოლაში უმაღლესი დაოსტატების ქალთა მხოლოდ 3 ჯგუფია გახსნილი, 2 თბილისში, 1 რუსთავში. იმის გამო, რომ ქუთაისიდან და ბათუმიდან [illegible] ძალზე მცირე იყო, ამ ქალაქებში ჯგუფები გავაუქმეთ. კმაყოფილნი ვართ რუსთაველი მწვრთნელის ლ. ბროძელის მუყაითი შრომით. თითქმის ყოველ წელს მისი აღზრდილები ავსებენ რესპუბლიკის ნაკრებ კოლექტივებს. სხვა სკოლების პედაგოგებმაც ასე რომ იშრომონ, ჩვენს ქალთა გუნდს რეზერვის პრობლემა არ ექნებოდა...

ჯ. კასიანი („ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდის მწვრთნელი):

— რაიონებში სათანადო დონეზე არ დგას ხელბურთის სწავლება. სწორედ მწვრთნელთა დაბალი კვალიფიკაციის ბრალია, რომ რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე გუნდები ერთფეროვნად თამაშობენ: გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთმა ხელბურთელმა თამაშის წესებიც კი არ იცის. იმდენად დიდად განსხვავდება თბილისელ და სხვა ქალაქების ხელბურთელთა მომზადება, რომ მათი ოფიციალური მატჩები საწვრთნელ ვარჯიშებს უფრო მოგვაგონებს. დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ მწვრთნელთა ოსტატობის დონის ამაღლებაზე...

ნათქვამს დავუმატებთ, რომ თვით თბილისის პირველობამ და კონსტიტუციის თასზე ჩატარებულმა მატჩებმა მთლიანად გაამართლეს მწვრთნელის სიტყვები. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის კოლექტივიც კი, რომელსაც ვარჯიშის საუკეთესო პირობები აქვს შექმნილი და რომლის შემადგენლობაში რესპუბლიკის რამდენიმე წამყვანი ხელბურთელი გამოდის, ძალზე მოკრძალებული შედეგით დაკმაყოფილდა. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, მწვრთნელები მაინც ახერხებენ თითო-ოროლა პერსპექტიული მოთამაშის აღზრდას. მათ შორის კი ტალანტებს რა გამოლევს!

ასე გაჩნდნენ „ბურევესტნიკში“ ჯერ ლ. არაბოვა, შემდგომ დ. გეფერიძე და ს. აკოფიანი. მათი გულმოდგინების წყალობით „სუნთქავდა“ „ბურევესტნიკის“ გუნდი.

ვ. მურადოვი (საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ხელბურთში, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი):

— დიახ, ჩვენს მწვრთნელებს სწორედ მონდომება აკლიათ, გარდა ამისა, აკლიათ მომთხოვნელობაც. თუმცა კარგად ვიცით როგორია ჩვენი ქალთა ხელბურთის საშუალო დონე, რომლითაც ასე თუ ისე საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში ფონს გავდივართ, არ ვცდილობთ გავაუმჯობესოთ იგი. ცოტა მეტი პასუხისმგებლობით რომ ვეკიდებოდეთ ქალთა ხელბურთს, შედეგიც არ დააყოვნებდა. დღეს, როცა მთელს საქართველოში ასე გამრავლდა სპორტული ბაზები, ხოლო თბილისში მარტო ხელბურთისთვის გამოსადეგი რამდენიმე შესანიშნავი სპორტული დარბაზი არსებობს. დარჩენილია ერთადერთი გზა — მუყაითი შრომის გზა, და არ გვგონია, ამ გზაზე მდგარი მწვრთნელის შრომამ ნაყოფი არ გამოიღოს.

გადავხედოთ უმაღლეს სასწავლებლებს, სპორტსაზოგადოებებს. თითქმის ყველგან გაფანტულნი არიან ხელბურთის სპეციალისტები, მწვრთნელები. მაგრამ საკითხავია, როგორია მათი შრომის შედეგი?

ქალთა ხელბურთს „პატივს სცემენ“ მხოლოდ პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები, რადგან სწორედ ამ სასწავლებლებშია თავმოყრილი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრთა უმრავლესობა. დანარჩენი? სარბიელზე ველარ ვხედავთ ერთ დროს უძლიერესებს — უნივერსიტეტელებსა და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებს. სუსტი გუნდია პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტშიც, რომელიც ახლო წარსულში ნაკრების მთავარი ბაზა იყო. მივიწყებულია ქალთა ხელბურთი სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში...

ვ. გოლოვანოვი (თბილისის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი):

— გასაკვირია, [illegible] დებენ თავს ქალთა შეჯიბრებებს ისეთი მძლავრი სპორტული ორგანიზაციები, როგორებიცაა „სპარტაკი“ და „შრომითი რეზერვები“. სწორედ ამ ორგანიზაციებშია თავმოყრილი ის გამოუყენებელი რეზერვი, რომელიც დღეს ასე ჰირდება ჩვენს ქალთა ხელბურთს. დაქვეითების გზაზეა „განთიადის“ კოლექტივი...

კარს მოგვადგა საკავშირო ახალგაზრდული თამაშები. შორს აღარაა ხალხთა VIII სპარტაკიადის სტარტებიც, რომლებიც დიდ ამოცანებს უსახავს ხელბურთელ ქალებს. სხვა თუ არაფერი, ღირსების საქმეა შევინარჩუნოთ წინა შეჯიბრებებში მოპოვებული შედეგები, ეს კი დღევანდელი გუნდებისთვის, თუ გავითვალისწინებთ მათი მზადების დონეს, ერთობ ძნელი საქმე იქნება.

დეკემბერში საკავშირო ჩემპიონატის I ლიგის თბილისში გამართულმა II ტურმა მთლიანად გაამართლა სპეციალისტთა ვარაუდი, სამწუხაროდ, ვერც „საკუთარმა კედლებმა“ უშველეს თბილისელ სტუდენტ ხელბურთელ ქალებს, რომელთაც აქტივში მხოლოდ ერთი გამარჯვება ჩაიწერეს (დუშანბეს „სპარტაკთან“ 30:24), ოთხი გამართული მატჩიდან და საგრძნობლად ჩამორჩნენ უმაღლესი ლიგის 2 საგზურის მაძიებელთ.

დამარცხებებმა კიშინიოვის „სჩოტმაშთან“ (30:35), ტაშკენტის „ტექსტილშჩიკთან“ (28:36), სვერდლოვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან (26:39) ნათლად გამოავლინა ჩვენი ქალთა ხელბურთის ხარვეზები, ნაკლოვანებები მოთამაშეთა ტექნიკურ თუ ტაქტიკურ მომზადებაში.

1982 წლის ჩემპიონატის დარჩენილი სამი ტური თბილისის „ბურევესტნიკს“ არა მარტო დააახლოებს მომავალ საპასუხისმგებლო სტარტებს, არამედ თავისებურ კორექტივსაც შეიტანს გათამაშების ცხრილში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ხელბურთელი ქალები მეტი მონდომებით და შემართებით ისპარეზებენ.

დღეისათვის საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის ქალთა გუნდების ერთ-ერთი ჯგუფი ასე გამოიყურება.

მეორე ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
უპი (სვერდლოვ.)	9	8	0	1	303—288	16
„ტექსტილშჩიკი“ (ტაშკენტი)	9	7	0	2	298—277	14
„ვარპა“ (რიგა)	9	5	1	3	309—248	11
„სჩოტმაში“ (კიშინიოვი)	9	5	0	4	337—301	10
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	9	2	0	7	232—294	4
„სპარტაკი“ (დუშანბე)	9	0	0	9	179—308	0

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის საპატიო ოსტატი.

დასახეს ღონისძიებანი

სამტრედიაში გაიმართა „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს XXVI კონფერენცია. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს თავმჯდომარე ჯ. ვამაკიძე, რომელმაც მიღწევებთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა ნაკლოვანებებიც. კერძოდ, წინა წლებთან შედარებით სპორტის მასობრიობა 50 პროცენტით შემცირდა, თითქმის მთლიანად ჩაშლილია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მელაურის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში, ცეკავშირის „საქკოოპტრანსის“ ავტოსატრანსპორტო საწარმოში, დაფნარის სოფლის კოოპერატივსა და ცეკავშირის სავაჭრო ბაზაში.

ფიზკულტურის კოლექტივებში ცუდად ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, არასაკმაო ყურადღება ეთმობა ტურისტული ლაშქრობის მოწყობას მშობლიური მხარის გასაცნობად და, რაც მთავარია, ქალთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

„კოლმეურნეს“ სამტრედიის რაისაბჭოს თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ჯ. ვამაკიძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი ნ. გელეიშვილი.

* * *

გაიმართა „კოლმეურნეს“ ვანის რაისაბჭოს XIII კონფერენცია.

მოხსენებით გამოვიდა „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს თავმჯდომარე ვ. ტრაპაიძე.

კონფერენციაზე ითქვა, რომ ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მოსახლეობის დაინტერესება ფიზკულტურითა და სპორტით, ამაღლდა ახალგაზრდა სპორტსმენთა მიღწევების დონე, გაფართოვდა სპორტულ ნაგებობათა ქსელი. ამავე დროს ჯერ კიდევ შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი. განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ სოფელ კიროვის, ფერეთის, ყაპრასიის კოლმეურნეობათა ფიზკულტურული ორგანიზაციები.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება.

„კოლმეურნეს“ ვანის რაისაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ტრაპაიძე.

„ბულატის“ პრიზზე

ზლატოუსტში (ჩელიაბინსკის ოლქი) გაიმართა მოთხილამურეთა ტრადიციული ასპარეზობა „ბულატის“ პრიზზე, რომელშიც რსფსრ-ს სხვადასხვა ოლქის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გაიმარჯვეს ჩელიაბინსკელმა მოთხილამურეებმა.

* * *

სურათებზე: გამარჯვებული გუნდი; შეჯიბრების მომენტი.

საკდესის ფოტო.

ЗИМНЯЯ СПАРТАКИАДА НАРОДОВ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაიმ-აუტი საინტერესო შეხვედრებისთვის

არიან ადამიანები, რომლებიც თითქოს მხოლოდ იმისათვის იბადებიან, რომ თავგამეტებით უყვარდეთ სამშობლო, თავისი საქმე და სხვებსაც გადასდონ ეს სიყვარული, ისინიც დაარწმუნონ, რომ არაფერია ქვეყნად ამ გრძნობაზე უფრო ბუნებრივი, მყარი...

ზურაბ ანჯაფარიძის სახელი ყოველი ჩვენგანისთვის ნაცნობი, ახლობელი და ძვირფასია. მას იცნობენ არა მარტო როგორც ნიჭიერ მომღერალსა და მსახიობს, არამედ როგორც კარგ მოქალაქეს, დიდბუნებოვან ადამიანს, საინტერესო პიროვნებას. არც შეიძლება სხვანაირი იყოს ასეთი თბილი და გულწრფელი ღიმილის პატრონი. ტყუილად როდი ამბობენ — კაი ყმის ღიმილს მეტი მგზნებარება და მომხიბვლელობა აქვსო...

ცოტა ხნის წინათ თბილისის ქუჩებში გაჩნდა აფიშები, რომელიც გვატყობინებდა, რომ იწყებოდა თბილისის თეატრების ტრადიციული სპარტაკიადა. ამას დაერთო კულუარებში გავრცელებული ცნობა ზურაბ ანჯაფარიძის ძველი მოკრივეობის შესახებ. ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და პატივცემულ ზურაბს მასპინძლობა ვთხოვეთ.

გვესაუბრება

ზურაბ ანჯაფარიძე,

რომელსაც გულმხურვალედ უყვარს სპორტი

● თქვენი პროფესია დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვს, ამისათვის თავად უნდა იყოთ ძლიერი. გვიამბეთ სპორტისადმი თქვენი ადრინდელი დამოკიდებულების შესახებ.

— ვსწავლობდი სტალინის სახელობის ვაჟთა პირველ სკოლაში. ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელი იყო პატივცემული არჩილ ბაქრაძე, მოსწავლე და თანამოაზრე გ. ეგნატაშვილისა. ბატონი არჩილის დამსახურებაა ის, რომ ყველას, ვინც ამ სკოლაში ვსწავლობდით, გვიყვარდა სპორტი. ამ სიყვარულმა გადაგვარჩინა ომის მძიმე წლებში ქუჩის გავლენისაგან, სწავლაზე გულის აცრუებისაგან. მე ბავშვობიდანვე ტანსრული ვიყავი და ალბათ ამიტომ დავინტერესდი კრივით. სპორტის ამ სახეობით გატაცებული ბიჭები გავერთიანდით მოკრივეთა დიდებული პლეადის — მელაძის, გორგასლიძის, კალაძის, ვართანოვის და სხვათა აღმზრდელის ДЯДЯ Саня-ს (ალექსანდრე გოლშტეინის) წრეში. ამ ადამიანმა კრივი საქართველოში მაღალ საფეხურზე აიყვანა და, რა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდა ჩვენთვისაც შეეყვარებინა სპორტის ეს საინტერესო სახეობა. ეს იყო სიცოცხლით, ხალისით, იუმორით სავსე საოცრად ბედნიერი წლები, რომლის გახსენება დღესაც დიდ სიხარულს მანიჭებს. მახსოვს, სამხედრო ჰოსპიტალში გამოვდიოდით. მეტოქეები ასაკითაც და ფიზიკურადაც ჩემზე დიდები იყვნენ. ერთი დაჭრილი, რომელიც დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ჩვენს პაექრობას, დამემუქრა: „მაგან თუ გაგლახა, მეც გაგლახავო“. მერე, როდესაც სიმღერამ საბოლოოდ დამიპყრო და კრივს თავი დავანებე, ДЯДЯ Саня განაწყენდა, ხმას აღარ მცემდა. მხოლოდ 1956 წელს, დიდი ხვეწნით, ძლივს მოვიყვანე ჩემს სპექტაკლზე. სპექტაკლის შემდეგ მითხრა: შენთვის კარგი სიმღერა უსწავლებიათ, მაგრამ იცოდე, მსახიობისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი — მოქნილობა მხოლოდ სპორტმა მოგცაო.

მართლაც, ფიზიკური მომზადება აუცილებელია ყველა მსახიობისთვის. იგი სხეულს პლასტიურობას ანიჭებს და საშუალებას აძლევს გაუძლოს იმ დატვირთვას, რომელიც ამ პროფესიას ახლავს; ცნობილია, რომ მსახიობის მიერ სპექტაკლზე დახარჯული ენერგია უტოლდება მეშახტის მიერ ერთი დღის განმავლობაში დახარჯულ ენერგიას.

● ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი განვითარების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკური კულტურის დამკვიდრებას ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. რა კეთდება ამ მხრივ თქვენს თეატრში?

— თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბევრი მსახიობი ყოფილი სპორტსმენია ან ახლაც მისდევს ფიზკულტურას და სპორტს. ჩვენც გვეძლევა საშუალება ჩვენი ძალები შევამოწმოთ თბილისის თეატრების ტრადიციულ სპარტაკიადაზე. ყველაზე პოპულარული სახეობაა ჭადრაკი, რომელსაც ღირსეულად წარმოადგენს ჩვენი უცვლელი ლიდერი ლამარა ჭყონია. მას მრავალი სიგელი და ჯილდო აქვს მიღებული.

ფეხბურთელებიდან პირველ რიგში ზურაბ სოტკილავას დავასახელებდი. იგი წლების მანძილზე იცავდა ჩვენი თეატრის ღირსებას. შემდეგ მოვიდა ახალი თაობა მერაბ დონაძის, პაატა ბურჭულაძის, ზაზა წულუკიძის, ნუგზარ მაღალაშვილის, დათო ხანდომაშვილისა და სხვათა სახით. დიდი წარმატებები ჰქონდა თევზჭერაში ვანო კოკოლიას, რომელმაც 1981 წელს თბილისის პირველობაზე I ადგილი აიღო, ხოლო რესპუბლიკაში — II. მაგიდის ჩოგბურთს თამაშობენ იური გოჩაშვილი, ნუგზარ მახათელი. გვყავს სიმაღლეზე მხტომელი თენგიზ სანაძე და სიგრძეზე მხტომელი ზურაბ კიკალეიშვილი, ბადროს მტყორცნელი ეთერ გაწერელია. თეატრში სპორტის განვითარებისთვის ყოველთვის აქტიურად იბრძვის საბალეტო დასი. ხშირად ეწყობა ექსკურსიები და ტურისტული ლაშქრობები თბილისის შემოგარენში, ბაზალეთის ტბაზე, გელათში, სათაფლიაში და საქართველოს სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში. ჩვენს თეატრს აქვს გამოჩენილი სპორტსმენების მოწვევის და საინტერესო საუბრების მოწყობის კარგი ტრადიცია.

თეატრის სპორტულ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის ადგილკომს მისი თავმჯდომარის შალვა მეძველიას ხელმძღვანელობით და კომკავშირის კომიტეტს საბალეტო დასის წევრის პაატა ჩხიკვიშვილის უშუალო მონაწილეობით. ამ საკითხით დაინტერესებულია კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი. მათი დახმარებით შევიძინეთ სპორტული ინვენტარი: ჩოგბურთის მაგიდა, ჭადრაკი, ბურთები, ფეხბურთის ფორმა და სხვა. მათივე დახმარებით თბილისის თეატრებისთვის გამოყოფენ ინსტრუქტორს, რომელიც წონაში დაკლების მსურველთ კვირაში ორჯერ დილით ადრე კუს ტბაზე ჩაუტარებს ვარჯიშს. გვინდა შევიძინოთ ძრავიანი ნავი. ეს უფრო საინტერესოს გახდის თბილისის ზღვაზე ჩვენი მსახიობებისა და მომსახურე პერსონალის დასვენებას.

● თქვენი ახლანდელი კონტაქტები ფიზკულტურასთან, სპორტთან?

— უნდა გამოვტყდე, რომ წონაში მომატებამ და მსახიობისათვის აუცილებელი ფორმის დაკარგვამ ადრე მიმატოვებინა სცენა. შეუძლებელი გახდა მონაწილეობა მიმეღო სპექტაკლში და მემღერა მიჯნურთა — მალხაზის, აბესალომის და სხვათა პარტიები. მაშინ მივხვდი, რომ აუცილებელი იყო ვარჯიშის დაწყება. სიამოვნებით ავუბი მხარი კარგ წამოწყებას — კუს ტბაზე სირბილს. როგორც კი 10-12 კილოს დავიკლებ, მაშინვე სიმსუბუქეს ვგრძნობ. მაგრამ ჩემი „კავშირი“ სპორტთან ამით როდი ამოიწურება. თეატრში ყოველდღე „ვეჭიდები“ ათას კაცს. ხან ისინი იმარჯვებენ, ხან მე. საბოლოო გამარჯვება კი ვის დარჩება, არ ვიცი.

* * *

...მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის სასახლის ამ ნათელ კედლებში ვინ იცის რამდენ ადამიანს უგრძვნია სიკეთისა და სიყვარულის სუნთქვა, რამდენჯერ უზეიმია წარმატება. რამდენჯერ გაუხარებია ამ ხმას თაყვანისმცემლები. მათ ახლაც სჯერათ თქვენი გამარჯვებისა. ჭეშმარიტი გულშემატკივარი ხომ არაფერში არ სცდება.

ლალი ცხვარაძე.

ვ. გრანატკინის მემორიალზე

მოსკოვში გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი.

მეორე ტურში ყურადღების ცენტრში იყო სსრ კავშირის ნაკრების შეხვედრა ბრაზილიელებთან. მასპინძლები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0, (ორივე ბურთი გაიტანა პროტასოვმა), მაგრამ ბრაზილიელებმა მატჩის დასასრულს გააძლიერეს იერიშები და გაქვითეს ორივე გოლი — 2:2.

დიდ წარმატებას მიაღწია სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა, რომელიც ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულს — გფრ-ს ხვდებოდა. საბჭოთა ფეხბურთელებმა მეტოქის კარში 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს.

იტალიისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრა, როგორც ვიტყობინებოდით, დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით — 2:0. ორივე ბურთი მეორე ტაიმში გაიტანა დე ვიტისმა, რომელიც ახლა 3 გატანილი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია.

ტურნირს ლიდერობს ბრაზილიის ნაკრები, რომელსაც 3 ქულა აქვს.

დ. ყიფიანი: „მჯერა ჩვენი ნაკრების“...

ყოველკვირეულმა გაზეთმა „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ“ საახალწლო ნომერში გამოაქვეყნა საუბარი დავით ყიფიანთან, რომელსაც „ლელოს“ მკითხველებს ვთავაზობთ.

□

ტელეფონის ზარმა თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელს დავით ყიფიანს მაშინ მოუსწრო, როცა იგი მორიგ ინდივიდუალურ წვრთნაზე წასასვლელად ემზადებოდა. ახალი წლის შეხვედრამდე რამდენიმე დღეღა რჩებოდა.

✦ როგორი იყო თქვენთვის მიმავალი წელი?

— ეს იყო ბედნიერი წელი ჩვენი ფეხბურთისათვის. თბილისის დინამოელებმა დაისაკუთრეს თასების თასი, ხოლო სსრ კავშირის ნაკრებმა თორმეტწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ჩემპიონატში. სექტემბერში ესპანეთის ტურნირზე მიღებული საბედისწერო ტრავმა რომ არა, რომელმაც დიდი ხნით გამომიყვანა მწყობრიდან, შეიძლებოდა ეს წელი ყოფილიყო ჩემთვისაც ყველაზე ბედნიერი. მე ხომ ვოცნებობდი მეთამაშა გადამწყვეტ მატჩებში მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის უფლებისათვის. გარდა ამისა, მინდოდა მივშველებოდი ჩემს კლუბს მატჩებში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე და საერთაშორისო შეხვედრებში. მახსოვს, ვალოდია გუცაევს ვკითხე კიდეც: „ბიჭებიდან ვის გადავცე მეათენომრიანი მაისური?“ „ნუ ჩქარობ, იგი ჯერ შენ თვითონ გამოგადგება“, — მიპასუხა ვალოდიამ.

✦ გამოდის, რომ გუცაევი მართალი ყოფილა!

— მადლობა ექიმებს, მათ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ორთვენახევრის შემდეგ კვლავ დამეწყო ვარჯიში.

✦ რას მიეძღვნა თქვენი პირველი მეცადინეობები?

— ფიზიკურ მომზადებას. იმედი მაქვს მალე ავინაზღაურებ გაცდენებს და ახალი წლიდან გუნდთან ერთად დავიწყებ სეზონისათვის მზადებას.

✦ როგორ გესახებათ მომავალი სეზონი?

— იგი უაღრესად ძნელი იქნება. თბილისისა და კიევის დინამოელები უკვე მარტში კარგ ფორმაში უნდა იყვნენ, რათა წარმატებით განაგრძონ ბრძოლა თასების თასებისა და ჩემპიონთა თასის მოსაპოვებლად და ეს ფორმა ბოლომდე უნდა შეინარჩუნონ — ისინი ხომ იმ ნაკრების ბირთვს შეადგენენ, რომელიც მსოფლიო პირველობის ფინალში გამოვა.

✦ როგორია, თქვენის აზრით, სსრ კავშირის ნაკრების შანსები?

— შარშან ჩვენ ბრაზილიელები დავამარცხეთ მათ მოედანზე, არგენტინელებთან, აგრეთვე სტუმრად ჩასულებმა, ფრედ ვითამაშეთ. ისინი ხომ მომავალი პირველობის ფავორიტებად ითვლებიან. შერჩევით ტურნირში ჩვენი ნაკრების წარმატებით გამოსვლა, სადაც გუნდმა თანამედროვე, შემტევი, მაღალშედეგიანი თამაში აჩვენა, მის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს. ჩემის აზრით საბჭოთა ნაკრების მოთამაშეები ევროპის ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ, და არა მარტო ევროპისას. აი, რატომ ვაფასებ ასე დიდად სსრ კავშირის ნაკრების შანსებს.

✦ განვლილ სეზონში ჩვენს მოთამაშეთაგან ვის გამოყოფდით?

— წლის საუკეთესო ფეხბურთელის, თბილისელ რამაზ შენგელიასათვის, ჩემის აზრით, ეს ყველაზე კარგი სეზონი იყო. ისევე როგორც ვლადიმერ გუცაევისა და სპარტაკელი იური გავრილოვისთვის. ხოლო კიეველების: ოლეგ ბლოხინისა და ლეონიდ ბურიაკის თამაშში კვლავინდებურად იგრძნობა დამაჯერებლობა. ოსტატობა კი მათ საკმაოდ აქვთ. ალბათ სპორტულ ჟურნალისტებს გაუჭირდათ 1981 წლის საუკეთესო ფეხბურთელის დადგენა. პრეტენდენტები ბლომად იყვნენ, განსაკუთრებით სასიხარულო ის არის, რომ თითოეული მათგანი საერთაშორისო კლასის მოთამაშეა.

✦ ჩვეულებრივ, როცა მინდორზე გამოდიხართ, რაზე ფიქრობთ?

— იმაზე, რომ ლამაზი თამაშით გავახარო მაყურებელი.

✦ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მკითხველები, რედაქცია გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ დიდ ფეხბურთში დაბრუნებას.

— გმადლობთ, საახალწლო სურვილები ახდება ხოლმე. მე სიამოვნებით ვკითხულობ ამ გაზეთს ინგლისურ ენაზე და გარდა იმისა, რომ ბევრ ახალ ამბებს ვგებულობ, იგი ინგლისური ენის სრულყოფილად ათვისებაში მეხმარება.

ინტერვიუ მიჰყავდა ლეონიდ ტრახტენბერგს.

ს უ რ ა თ ზ ე: დ. ყიფიანი ესპანეთში გამგზავრების წინ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ენებს სწავლობენ ტაქსისტები

მსოფლიოს XII ჩემპიონატის დაწყებამდე, რომელიც წელს ესპანეთის სტადიონებზე ჩატარდება, საკმაო დროა და მას უქმად არ ჰკარგავენ ადგილობრივი ტაქსის შოფრები, რომლებიც თავისუფალ დროს უცხო ენების ათვისებას ანდომებენ. ზოგმა ფრანგული და ინგლისური აირჩია, ბევრი კი იტალიურს, გერმანულსა და რუსულს სწავლობს...

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

სასამართლოს წინაშე

იტალიის სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს „გენუას“ მეკარე სილვიო მარტინა, რომელმაც იტალიის პირველობაზე გამართულ ერთ-ერთ უკანასკნელ მატჩში წინასწარგანზრახვით მძიმე ტრავმა მიაყენა ნაკრების წამყვან ფეხბურთელს ანტონიონის. მუხლი, რომელიც „დამნაშავეს“ უნდა მიუყენონ, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 7 წლამდე.

კრიზისი გრძელდება

ფეხბურთის მიმდინარე სეზონის დამთავრებისთანავე ინგლისის ოთხივე ლიგის კლუბები იძულებული იქნებიან ერთბაშად გამოეთხოვინ 500 პროფესიონალ ფეხბურთელს. ამ იძულებითი დათხოვის მიზეზია ამჟამინდელი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც სპორტის ამ სახეობასაც შეეხო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭადრაკი

დარჩათ ერთმანეთთან შეხვედრა: მ. ტალი— თ. გიორგაძე

კიოლნის (გფრ) საახალწლო საერთაშორისო ტურნირში სათამაშო დარჩა მხოლოდ დასკვნითი, XI ტური. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა მოჭადრაკეები მ. ტალი და თ. გიორგაძე.

10 ტურის შემდეგ კი ლიდერობს მ. ტალი — 8,5 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან ე. მაილსი (ინგლისი) — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 7 და თ. გიორგაძე — 6,5.

ბოლო ორ (IX, X) ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების შეხვედრები. IX ტურში ტალს ქულა დაეწერა დანკერტისგან (გფრ), რომელიც ავადმყოფობის გამო ტურნირს გამოეთიშა. მეორე დღეს მან სძლია ხ. რეეფშლეგერს (გფრ).

IX ტურში მაილს — ჰორტის შეხვედრაში გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა. მომდევნო ტურში ჰორტმა პ. ტრეგერს (გფრ) მოუგო, მაილსმა მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია მ. კნეჟევიჩთან (იუგოსლავია).

გიორგაძემ 1,5 ქულა დააგროვა. ერთი პარტია ყაიმით დაამთავრა, მეორეში (დანკერტისგან) ქულა მიიღო.

●

„დინამოს“ პირველობა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში სტარტი აიღო „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობამ ჭადრაკში გოგონათა შორის. ტურნირში 12 მოჭადრაკე მონაწილეობს.

I ტურში ს. კალდებაევამ (ალმა-ათა) მოუგო ლ. სადუნიშვილს (თბილისი), მ. მახარაძემ (თბილისი) — რ. რუმიტეს (ვილნიუსი), ე. არახამია (ოჩამჩირე) დამარცხდა ლ. დიდენკოსთან (მოსკოვი), ე. სამოხოდკინამ (მოსკოვი) გამარჯვება იზეიმა მ. ცხვედიანთან (ქუთაისი). ლ. აგბაბიშვილმა (რუსთავი) დაამარცხა ე. ნეკრასოვა (კიევი).

ერთი პარტია გადაიდო.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თამაშობენ ლ. სადუნიშვილი (მარცხნივ) და მ. მახარაძე. დგანან —ე. სამოხოდკინა (მარცხნივ) და ლ. დიდენკო.

გ. დოლენჯაშვილის ტექსტი და ფოტო.

● შაში

თამაშობენ მოსწავლეები

დამთავრდა თბილისის ჩემპიონატი ჭადრაკში ჭაბუკთა შორის, რომელშიც 16 მოსწავლე მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა 42-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ რეზო კაკაბაძემ — 11 ქულა. II ადგილზეა კახა ჯაჭვაძე — 10,5, III — დავით ლობჟანიძე 10,5 (მას კოეფიციენტთა ცხრილით უარესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა). გამარჯვებულნი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ოლიმპიური რეზერვის სკოლის (დირექტორი ნანა ალექსანდრია) აღსაზრდელები არიან.

თ. ქიქავა.

• • •

სამტრედიის პიონერთა სახლში დამთავრდა საახალწლო ტურნირი 64-უჯრიან შაშში.

ფინიშთან პირველი იყო პ. გრიგოლია.

ი. ნიკოლეიშვილი,
(„ლელოს“ კორ.).

პანორამა

● **ფიგურული სრიალი**

რიგის სპორტის სასახლეში გრძელდება საკავშირო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. დამთავრდა ასპარეზობა ერთეულ ვაჟთა შორის. მოკლე პროგრამის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ლენინგრადელმა ი. ბობრინმა, რომელმაც მხოლოდ 0,4 საჯარიმო ქულა მიიღო. მან ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოსკოველები ვ. კოტინი და ა. ფადეევი.

● **თხილამურები**

კრასნოგორსკში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება. გაიმართა ქალთა რბოლა 20 კილომეტრზე. ყველაზე უკეთ ირბინა ინსბრუკისა და ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადების ჩემპიონმა რაისა სმეტანინამ („უროჟაი“)—1:13.17,2. მეორე იყო ლ. ლიადოვა (შეიარაღებული ძალები) — 1:14.12,1, მესამე — გ. კულაკოვა („ტრუდი“) — 1:14.51,6.

შვეიცარიელი ვ. შტაინერი, თხილამურებით ფრენაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სათავეში ჩაუდგა თავისი ქვეყნის ნაკრებს, რომელიც წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება.

„ლელოს“ პუბლიკაცია

ნაღდი გამარჯვება

გიორგი სააკაძე სტამბულის ასპარეზზე

1600 წელს ალგეთში გაფთრებული ბრძოლების დროს ქართლის მეფე სიმონ პირველი თურქებმა ტყვედ ჩაიგდეს და სტამბულში წაიყვანეს. მეფეს სხვებთან ერთად ახლდა თბილისის მოურავი შიო გიორგის ძე სააკაძე, რომელმაც თან წაიყვანა თავისი 15 წლის შვილი გიორგი სააკაძე. ისინი თითქმის ოთხი წელიწადი დარჩნენ სტამბულში და რითაც შეეძლოთ მძიმე მდგომარეობას უმსუბუქებდნენ ტყვეობაში მყოფ მეფეს. ეს ჩანს XVII საუკუნის პოეტის იოსებ თბილელის (სააკაძე) პოემიდან „დიდმოურავიანი“.

გიორგი სააკაძე, ერთობ ახოვანი და ღონიერი ვაჟკაცი, მნახველთა თვალში განცვიფრებას იწვევდა თურმე.

იმ ხანად სტამბულის ასპარეზზე ჭიდაობა ხშირად იმართებოდა. საჭიდაოდ გამოდიოდნენ არა მარტო თურქი და სხვა ქვეყნების ფალავნები, არამედ ქართველებიც.

ასპარეზობას შიო და გიორგი სააკაძეებიც ესწრებოდნენ. ერთხელ სულთანის კაცმა, რომელსაც თურმე ენახა გიორგი სააკაძე და მოსწონებოდა, მათ გადასცა სულთანის დანაბარები: ქართველი ჭაბუკი მეტად ახოვანი ჩანს, მოხერხებულიც იქნება, ქართველები ხომ ჭიდაობაში განთქმულები არიან და მინდა ეგ გოლიათი ჩემს ფალავანს დაეჭიდოსო.

გიორგიმ, რომელსაც ღონეც ერჩოდა და ჭიდაობის ილეთებიც კარგად ეხერხებოდა, სულთანის შემონათვალი ჯერ შორს დაიჭირა: აბა, ხონთქრის ფალავანთან მე რა გამოსაჩენი ვარო, უთხრა მამას და იქ მყოფ ქართველებს. შიო სააკაძემ სულთანის კაცი ამ სიტყვებით გაისტუმრა: პასუხს ხვალ შემოგითვლითო. შემდეგ შვილს მიუბრუნდა: ასპარეზობაზე უარს ნუ იტყვი, ჯანიც გაქვს, მოხერხებაც, ჭიდაობაში ბადალი არ მოგეპოვება, იქ, ნოსტეში ტოლს არავის უდებდი და აქ რა დაგემართებაო.

სხვა ქართველებმაც იგივე გაუმეორეს და თან დაუმატეს: სჯობია მტერს ვაჟკაცობა ვაჩვენოთ, ვიდრე განდგომა, მეფე შენს გამარჯვებას შეიტყობს და მხნეობა შეემატებაო.

მეორე დღეს შიომ სულთანის ვაზირს შეუთვალა: ჩემი შვილი თანახმაა სულთანის ფალავანს დაეჭიდოსო.

მალე სულთანის ბრძანებით ასპარეზობა გაიმართა. ხალხი მოჯარდა. სულთანმა და მისმა ამალამ თავისი ადგილი დაიკავეს. ასპარეზზე ერთმანეთს ერკინებოდნენ სხვადასხვა ფალავნები. ბოლოს გამოვიდა სულთანის რჩეული ფალავანი, მეორე მხრიდან კი გამოჩნდა გიორგი სააკაძეც. სულთანის გაამაყებული ფალავანი აინუნშიაც არ აგდებდა მოწინააღმდეგეს. იგი ფიქრობდა: ამ ასპარეზზე მრავალი მოჭიდავე დამიმარცხებია და ეს ვინ არის, ფალავანიც კი არ უნდა იყოს, ალბათ ბედის საძიებლად ჩამოსულაო.

აი, მოჭიდავენი შეებნენ ერთმანეთს. სანახაობამ ერთბაშად დაიპყრო მრავალრიცხოვანი მაყურებელი.

ოსმალო ფალავანი ეცა სააკაძეს, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა. მეორე ილეთზე სააკაძემ მეტოქეს ხელი მოჰკიდა, აიტაცა და ბეჭებით ძირს დასცა. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ოსმალო ერთხანს ფეხზე ვერ წამოდგა. სულთანმა ხელი ასწია. ეს იმას ნიშნავდა, რომ გურჯი მოჭიდავის გამარჯვება ნაღდი იყო.

ამ ამბავმა მალე საქართველომდე მოაღწია და ხალხურ თქმულებად იქცა. ეს თქმულება ცნობილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ანტონ ფურცელაძემ XIX საუკუნეში ჩაიწერა და შეიტანა თავის წიგნში „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“, თბილისი, 1911 წ.

ვ. ხიდამონიძე.

ჩინეთის საუკეთესო სპორტსმენები

ცნობილი ჩინელი სპორტსმენი, ქვეყნისა და აზიის რეკორდსმენი სამხტომში (17,34 მ) ჩჟოუ ჩჟენსიანი აღიარეს ჩინეთის 1981 წლის საუკეთესო სპორტსმენად.

უძლიერესთა სიაში II ადგილზეა ასევე აზიის რეკორდსმენი ჩჟუ ცზიანხუ, რომელმაც სიმაღლეზე ხტომის რეკორდი 230 სმ-მდე ასწია. სიაში III ადგილი უკავია ასევე აზიის რეკორდსმენს სიგრძეზე მხტომელ ლიუ იუხუას, ხოლო მეოთხე ადგილზეა სიმაღლეზე მხტომელი ქალი ჩჟენ დაჩჟენი — 191.

ჩინეთის სპორტსმენებმა ბოლო წლებში განაახლეს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა. მათი იძულებითი „შესვენება“ გამოწვეული იყო „კულტურული რევოლუციის“ ექსცესებით. ჩინეთის გაზეთების ცნობით ამ ქვეყნის სპორტსმენებმა გასულ სეზონში 25-ჯერ იმარჯვეს მსოფლიოს სხვადასხვა სახის ჩემპიონატებსა და თასების გათამაშებაში. კერძოდ, მათ 7 პირველი ადგილი მოიპოვეს მსოფლიო პირველობაზე მაგიდის ჩოგბურთში, პირველნი იყვნენ ფრენბურთელ ქალთა მსოფლიო თასის გათამაშებაში, ოქროს მედლები დაისაკუთრეს ბადმინტონისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ზოგიერთ თანრიგში, აგრეთვე ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ტყვიის სროლაში, ძემსამოდელო სპორტში, მშვილდოსნობაში. ჩინელმა ათლეტებმა რამდენიმე მსოფლიო რეკორდი გაიმეორეს და გააუმჯობესეს.

ცხადია, ჩინელი სპორტსმენების მაჩვენებლების ნელი ზრდა მსოფლიოს სპორტული მოძრაობიდან ხანგრძლივი იზოლაციის, კვალიფიციური მწვრთნელების უკმარისობის შედეგია — იტყობინება გაზეთი **„ხოვეტსკი სპორტი“**.

იმედები არ გამართლდა

ნიუ-იორკის პროფესიული კლუბი „კოსმოსი“ აშშ-ს 1981 წლის ჩემპიონი გახდა ფეხბურთში. მან ჩემპიონატის ფინიშზე ანგარიშით 2:1 დაამარცხა მთავარი მეტოქე — „ტიპლომატს ვაშინგტონი“.

ამ მატჩს საკმაოდ ბევრი მაყურებელი დაესწრო, რომელთა უმრავლესობა 10-15 წლის მოზარდები იყვნენ. ეს ფაქტიც მოწმობს, რომ ფეხბურთი სულ უფრო პოპულარული ხდება ამერიკელ ბავშვთა შორის, მაგრამ სპორტის ამ სახეობის განვითარება მაინც არასწორი გზით მიდის და საეჭვოა, აშშ-ის ფეხბურთელებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვონ.

სხვათა შორის, აშშ-ში იმედი ჰქონდათ, რომ ამ ქვეყნის ნაკრები ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზურს მოიპოვებდა, მაგრამ გუნდი საკვალიფიკაციო ჯგუფში ძალზე სუსტად გამოვიდა და ფინალს მიღმა დარჩა.

სპორტულმა მიმომხილველებმა (მათ შორის ევროპელებმაც) მძაფრად გააკრიტიკეს აშშ-ის ნაკრების თამაში. ერთი ინგლისელი ჟურნალისტი წერდა, რომ „თუ ამერიკელები შემდგომშიც ასე ითამაშებენ, ისინი 500 წლის შემდეგაც ვერ მოხვდებიან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში“.

იალქნიანი გემებით — დედამიწის გარშემო

ახლახან დაიწყო „საზღვაო მარათონის“ მესამე შეჯიბრება — „უიტბრედი“. 14 ქვეყნის იალქნიანი გემები დედამიწის გარშემო 40 ათას კილომეტრს დაფარავენ.

პირველი ასეთი შეჯიბრება 13 წლის წინ გაიმართა, რომელშიც 17 ეკიპაჟი მონაწილეობდა, ფინიშს კი მხოლოდ 14-მა მიაღწია. მეზღვაურებმა ოკეანეებზე და ზღვებზე 134 დღე და 12 საათი დაჰყვეს.

ამჟამინდელი მოგზაურობის მონაწილენი ვარაუდობენ, რომ რთულ მარშრუტს 1982 წლის მარტის ბოლომდე დაფარავენ.

უშიშარი მოგზაური

37 წლის ნიკოლოზ ჯამბაზოვმა (ბულგარეთი) დიდი ხნის ოცნება განახორციელა: ოკეანეთა გადასალახად ააგო უნიკალური ორჩხომელი, რომელსაც „ტანგრა“ უწოდა. 1981 წლის 21 ნოემბერს ჯამბაზოვმა „ტანგრათი“ ნიუ-იორკიდან ბულგარეთისკენ აიღო გეზი. მარშრუტი მეტად ხიფათიანი გამოდგა. მესამე დღეს ძლიერმა ქარმა „ტანგრა“ გემს შეაჯახა და საკმაოდ დააზიანა. ქარი ჩადგა, მაგრამ ტალღების საშინელი ხმაური მაინც ისმოდა. ერთ-ერთმა ტალღამ ორჩხომელი 180 გრადუსით გადააბრუნა, მამაცი მოგზაური სადაზღვევო ღვედმა იხსნა დალუპვისაგან. ამ დროს „ტანგრა“ მფრინავებმა შენიშნეს და ჯამბაზოვს დახმარება შესთავაზეს, მაგრამ საშიშროება უკვე უკან იყო და მოგზაურმა დახმარებაზე უარი განაცხადა. მალე ჯამბაზოვს ფილტვების ანთება შეეყარა, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდა, ორჩხომელაც შეაკეთა და კვლავ ბულგარეთისკენ აიღო კურსი. მეგობრები და დამხვდურები ოვაციებით შეხვდნენ ბულგარეთის ნაპირებთან „ტანგრას“ გამოჩენას.

პუბლიკაცია მომზადა
ლ. კარბელაშვილმა.

„სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი მეორე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 4 (კრივი), 10 (წყალბურთი), 11 (ფრენბურთი), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 38 (აკრობატიკა), 42 (წყალსათხილამურო სპორტი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 8 (ტრეკზე ველორბოლა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლა), 24 (ხელბურთი), 27 (მშვილდოსნობა).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 09014